05/01/2023

# რომის პაპ ფრანცისკეს 90 წლისთავის საიუბილეო მილოცვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს



მის უწმინდესობას და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, ილია II-ს
თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ,

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრად აღსაყდრების ორმოცდამეხუთე წლისთავთან დაკავშირებით და ოთხმოცდამეათე დაბადების დღის აღსანიშნავად, გულწრფელ სურვილებს ვუგზავნი თქვენს უწმინდესობას და უნეტარესობას და ვლოცულობ, რომ ყოვლისშემძლე ღმერთმა გიწყალობოთ ჯამრთელობა და სულიერ ნიჭთა სიუხვე თქვენი მრავალწლიანი მწყემსური მსახურების გზაზე.

მაშინ, როდესაც თქვენს მრავალწლიან უფლის მსახურებას თან სდევდა მრავალგვარი გამოწვევა და თქვენი ქვეყნის მნიშვნელოვნად გარდასახვა, ეკლესია, რომელიც მინდობილი იყო თქვენს მზრუნველობაზე, ყოველთვის სულიერად იზრდებოდა და ყვავდებოდა. ეს მახსენებს მოციქულის სიტყვებს: „მწამს, რომ თქვენს შორის კეთილი საქმის დამწყები კიდევაც აღასრულებს მას იესო ქრისტეს დღემდე.“ [ფილიპ.1:6). მაშასადამე, ვლოცულობ, რომ ჩვენმა ზეციერმა მამამ მოგმადლოთ ძალა, რათა

განაგრძოთ ქრისტეს სახის ძიება, ვინაიდან თქვენ მოწმობთ მის სამყაროსადმი სიყვარულს და იბრძვით სამწყსოს და მთელი ქართველი ხალხის სასიკეთოდ.

გთხოვთ იცოდეთ, რომ მე განსაკუთრებით ვაფასებ თქვენს მრავალფეროვან მუსიკალურ კომპოზიციებს, რომლებსაც ხშირად ვუსმენ, როგორც ლოცვისთვის მომზადების ღირებულ საშუალებას. ეს ჩემთვის ძალიან ძვირფასია!

ძვირფასო ძმაო, ვლოცულობ, რომ ღვთისმშობელმა დაგიფაროთ თავისი კალთის ქვეშ, გეხვევით და გისურვებთ მშვიდობას, ასევე ვთხოვ თქვენს უწმიდესობასა და უნეტარესობას, რომ მომიხსენიოთ თქვენს ლოცვებშიც.

რომი, წმინდა იოანე ლატერანიდან
25 დეკემბერი, 2022 წელი.

ფრანცისკე

COPIA

*To His Holiness and Beatitude Ilia II*
*Catholicos Patriarch of All Georgia*
*Archbishop of Mtskheta-Tbilisi*
*and Metropolitan of Abkhazia and Bichvinta*

Your Holiness and Beatitude,

On the occasion of the forty-fifth anniversary of your enthronement as Head of the Orthodox Church of Georgia, and as you mark your ninetieth birthday, I send heartfelt good wishes to Your Holiness and Beatitude, together with my prayers that Almighty God will bless you with good health and abundant spiritual gifts as you carry on your long-standing pastoral ministry.

While your many years of service to the Lord have seen a wide variety of challenges and an extensive transformation of your country, the Church entrusted to your care has always grown and prospered spiritually. This calls to mind the Apostle's words, "I am sure that he who began a good work in you will bring it to completion at the day of Jesus Christ" (*Phil* 1:6). In this regard, I pray that our heavenly Father will bestow on you the strength to continue seeking the countenance of Christ as you bear witness to his love in the world and strive for the good of the flock and of all the Georgian people.

COPIA